

## განმარტებითი ბარათი

### საკრებულოს დადგენილების პროექტზე

#### ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

##### ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

###### ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

###### ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

###### ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაბრუნებული ბიუჯეტი შენიშვნების გათვალისწინებით, წარედგინება საკრებულოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

###### ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

###### ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

#### ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,4 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155<sup>1</sup> მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

## ბიუჯეტის პარამეტრები

### საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6<sup>1</sup>-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში **12131.9** ათას ლარს შეადგენს.

**2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9531,9 ათასი ლარით;

*2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 11,9%-ით (944,7ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;*

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2600,0 ათას ლარს;

*2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 1.2%-ით (30.0ათასი ლარით) იზრდება.*

**2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება **176.1** ათასი ლარამდე, მათ შორის:

- სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები **176.1** ათასი ლარი;

- სხვა შემოსავლები დაგეგმილია **1975.0**. ათასი ლარი, მათ შორის:

- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია **190.0** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ რენტა 180.0 ათასი ლარი;

- ✓ პროცენტი 10,0 ათასი ლარი

- შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია **90.0** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ სანებართვო მოსაკრებლები 40.0 ათასი ლარი;

- ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 50,0 ათასი

- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 100,0 ათასი ლარი;
  - ✓ შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 1595,0 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 150,0 ათას ლარს;
- ძირითადი აქტივების გაყიდვიდან დაგეგმილია 50,0 ათასი ლარი;
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან დაგეგმილია 100,0 ათასი ლარი.
- სულ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 14433,0 ათას ლარს.

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 14433,0 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1220,4 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2024 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2024 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1330 ლარის ოდენობით ნაცვლად 1210 ლარისა.

### პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - 2059,0 ათასი ლარი;
- მათ შორის:
  - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 617,0 ათასი ლარი;
  - ✓ გარე განათება -380,0 ათასი ლარი;
  - ✓ წყლის სისტემების განვითარება -182,0 ათასი ლარი;
  - ✓ მუნიციპალური შენობების ა და ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია -170,0 ათასი ლარი;
  - ✓ მუნიციპალიტეტის ქალაქ ჩხოროწყუსა და სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა - 120,0 ათასი ლარი;
  - ✓ სასაფლაოების მოვლა შენახვა - 60,0 ათასი ლარი;
  - ✓ საპროექტო - სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები - 200,0 ათასი ლარი;
  - ✓ რფგ-სა და მფგ-ს პროექტების თანადაფინანსება -270,0 ათასი ლარი;
  - ✓ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა - 60,0 ათასი ლარი;

✓

➤ დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 825,0 ათასი ლარი; მათ შორის:

✓ დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 810,0, ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა,

✓ დასუფთავებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება 15,0 ათასი ლარი

(მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.)

➤ განათლება - 3265,0 ათასი ლარი, მათ შორის:

✓ სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონერება - 3120,0 ათასი ლარი;

✓ საჯარო სკოლების საქმიანობის ხელშეწყობა - 40,0, ათასი ლარი

✓ განათლების ხელშეწყობა - 105,0, ათასი ლარი,

✓

✓ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1830 ათასი ლარი მათ შორის:

✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 815,0, ათასი ლარი; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

✓ ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა--260,0, ათასი ლარი.

✓ სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა -270,0 ათასი ლარი.

✓ სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 285,0 ათასი ლარი.

✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა 945,0. ათასი ლარი,

✓ კულტურის სახლების , სასოფლო კლუბების და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა -580,0 ათასი ლარი.

✓ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელშეწყობა 150,0 ათასი ლარი.

✓

✓ სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა 135,0 ათასი ლარი,

✓ კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა 80,0 ათასი ლარი.

ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 70,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

➤ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1253,5 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ **საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 180,0 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: · არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

✓ **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა 1023,5 ათასი ლარი აქედან:**

- სარიტუალო მომსახურება 3,0 ათასი ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა 240,0 ათასი ლარი;
- ახალშობილ ბავშვთა დახმარების პროგრამა 30,0 ათასი ლარი;
- თირკმლის დიალეზზე მყოფთა პროგრამა 30,0 ათასი ლარი;
- უსინათლოთა პროგრამა 12,0 ათასი ლარი;
- მეორე მსოფლო და ავღანეთის ომებში მონაწილეთა დახმარების პროგრამა 46,0 ათასი ლარი;
- ას წელს გადაცილებულთა დახმარების პროგრამა 4,0 ათასი ლარი;
- უსახლკართთა დახმარების პროგრამა 35,5 ათასი ლარი;
- გაუსაძლის საბინაო პირობებში და უკიდურესად შეჭირვებული ოჯახების დახმარება 70,0 ათასი ლარი;
- შეჭირვებული ოჯახებისათვის სხვა ერთჯერადი სოციალური დახმარება 100,0 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 330,0 ათასი ლარი;
- ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეთა დახმარება 7,0 ათასი ლარი;
- შ. შ. მ. ბავშვთა და მოზარდთა დახმარების პროგრამა 70,0 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები) 45,0 ათასი ლარი;
- უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი 1,0 ათასი ლარი;
- სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაციის ხარჯი 50,0 ათასი ლარი ;

➤ **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 5200,5 ათასი ლარი, მათ შორის:**

- ✓ საკრებულოს დაფინანსება - 1521,5 ათასი ლარი;
- ✓ მერია - 3598,0 ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 80,0 ათასი ლარი;

- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 1,0 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

პროგრამული კოდი	დასახელება	/ათასი ლარი/	
		2024	წლის პროექტი
	<b>სულ ჯამი</b>		<b>14433,0</b>
01 0101	საკრებულო		1521,5
010102	მერია		3598
0102	სარეზერვი ფონდი		80,0
010102	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი		1,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება		617,0
02 02	გარე განათება		380,0
02 03	წყლის სისტემები		182,0
02 04	მუნიციპალური შენობების და ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია		170,0
02 06	მუნიციპალიტეტის ქალაქ ჩხოროწყუსა და სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა		120,0
02 07	სასაფლაოების მოვლა- შენახვა		60,0
02 08	საპროექტო -სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები		200,0
02 10	რფგ-სა და მფგ-ს პროექტების თანადაფინანსება		270,0
02 11	სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა		60,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა		810,0
03 02	დასუფთავების ინფრასტრუქტურის განვითარება		15,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება		3120,0
04 03	საჯარო სკოლების საქმიანობის ხელ შეწყობა		40,0
04 06	განათლების ხელშეწყობა		105,0
05 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა		815,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა		945,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა		70,0
06 01	ჯანდაცვის მომსახურება		180,0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა		1023,5
06 03	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაციის ხარჯი		50,0

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5200,5 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 1147,0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 945,0 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 792,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 180,0 ათასი ლარი
- დასვენება, კულტურა რელიგია-1830,0 ათასი ლარი
- განათლება - 3265,0 ათასი ლარი;

➤ *სოციალური დაცვა - 1073,5ათასი ლარი;*

**ე) დადგენილების ავტორი**

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

**ვ) დადგენილების ინიციატორი**

მუნიციპალიტეტის მერი